


სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 6. იანვარი 29, 1895 წ. № 6.

**შინაარსი:** ფელიქს ფორი.—ქართული საერო საქმე.—განცხადებასავით აკაკისა.—ბ-ნი ლალი და „იბერია“ გ. წერეთლისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—პანორამა, ლექსი აკაკისა.—სპეტის მაცხოვრის კანკელი.—საყურადღებო ამბები.—სასოფლო შკოლა უნდა იყოს სახალხო ი. როსტომაშვილისა.—ქართლ-კახეთის შეერთების ისტორიიდან ა. გარსევანიშვილისა.—ჩვენი სახიობა.—საქველმოქმედო საქმეები.

## ფელიქს ფორი

ახლანდელი პრეზიდენტი საფრანგეთისა ბევრი მხრით შესანიშნავი კაცია. ის არის ახლა ოცდაცამეტი წლის; მაშასადამე სრული მოწიფული ვაჟკაცი, რომელშიაც კერძო ვაჟკაცური ფიზიკური და გონებითი ძალები უმაღლეს წერტილამდის უნდა იყოს გაძლიერებული. მას ყმაწვილობაში ბევრი უმოგზაურია; სხვათა შორის ჩვენს საქართველოშიაც ყოფილა, გაუვლია გორში და გაუცვნია თ. ნ ამილახვრის ოჯახი, ყოფილა თ. ივანე მუხრანბატონის მამულში და დაუთვალიერებია მისი ვენახები და მარნები. საფრანგეთის ერმა მალე მიაქცია ყურადღება მის წარჩინებულს ნიჭს, საქმიანობას და გამოცდილებას. ფელიქს ფორი დაბალი წოდების გვარიდან არის და ნამდვილ პროგრესიულ დემოკრატიული პრინციპის მიმყოლია. შარშან ოცდათორმეტი წლის იყო, რომ საზოგადო და საერო შენობათა მინისტრათ გამოირჩიეს. აი, ამ დროს გამოიჩინა მან თავისი დამოუკიდებელი დემოკრატიულ პროგრესიული შეხედულება მუშა-ხალხის ბედის გაუმჯობესობაზე. ის არ ეთანხმებოდა კონსერვატიულს და თაეისნება ჯიუტს კაზიმირ-პერიეს მოქმედებას. მისი პირველი ნაბიჯი პრეზიდენტობაში სოციალდემოკრატების განდევნილი მეთაურების უკან მობრუნება კარგ ნიშნებს გვაძლევს. იმედია, საფრანგეთი მის პრეზიდენტობაში წარმატების გზას დაადგება და ბრძოლის მაგიერ


ფელიქს ფორი, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ეცდება მუშა-ხალხს შეუმსუბუქოს თავისი მდგომარეობა, მოახდინოს ეკონომიური რეფორმები და ეცადოს მდიდარ ახალშენებათ დაბინაოს შორს ქვეყნებში ისეთი გაჭირვებული მუშა-ხალხი, რომელსაც სამშობლოში საჭმელი ლუკმა-პური არ აქვს და საფრანგეთის მდიდარ სამხრეთ-აღმოსავლეთის კოლონიებში სულს მოიბრუნებენ, კეთილდღეობით დაშენდებიან. მას დიდ ღვაწლათ ჩაეთვლება სხვათა შორის როშფორისთანა კაცების მიტევება და განძევებიდან მათი უკან დაბრუნება თავის სამშობლოში.

## ქართული საერო საქმე

მივაქცევთ მკითხველების ყურადღებას შესანიშნავს წერილს ჩვენის სახელოვანის პოეტის აკაკისას, რომელსაც წინასწარმეტყველური წინაგრძნობა ყოველთვის თანდადევს. სწორედ მოვიდა ჟამი, როცა ქართველმა ერმა, დიდმა და პატარამ, ძლიერმა და სუსტმა, მდიდარმა და ღარიბმა უნდა გამოიღოს სარჯი იმ საერო საქმისთვის, რომელიც დაგვინიშნა აკაკიმ ზემოხსენებულ წერილში, მაგრამ მიზანი და პროგრამა, რომელიც მოხსენებულია აკაკის განცხადებაში კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს. რაც დღე მოდის, ისე თანდათან უფრო გვემატება ნასწავლი ახალგაზდობა, რომელნიც ლუკმა-პურისათვის ბრძოლაში წრეს გარეშე რჩებიან და იმათ სამუშაო ასპარეზს სხვები იგდებენ ხელში, რომელთაც გარეშე ძალისაგან უფრო გამაგრებული აქვთ ზურგი. ქართველ ინტელიგენტ ახალგაზდას გარეშე თავის ერის გულმხურვალეობის პატრონი აღარავინ უჩანს. აი, ამიტომაც უნდა გამოიღოს ხელი თვით საქართველოს ერმა, დიდმა და პატარამ, მცირეოდენი წვლილი ყოველ წლობით შემოიტანოს, რომ დაარსდეს საერო ფონდი, რომლის საშუალებითაც წრეს გარეშე დარჩენილი ახალგაზდობა და მისი ძალ-ღონე ხალხის განათლებას მოვახმაროთ. დღეს ეს თითქმის უნუგეშოთ დარჩენილი ახალგაზდობა ათობით და ასობით ქალაქებში იხურხლებიან, რა არის, საქმე რამე იქნება ვიშოვნოთ. აი, ისინი უნდა დავგზავნოთ ხალხში განათლების შესატანათ შიგ, მაგალითების საჩვენებლათ და თვით ზეპირგარდმოცემების, სახალხო ლექსების და სხვა მასალების შესაგროვებლათ. იმათვე უნდა დავავალოთ მძიმე მუშაობა საკეთილდღეოთ და ერის წვლილითაც უნდა გავუჩინოთ მათ სარჩო-საბადებელი. ქართველი ერი, სულ ერთიანათ, წოდების გაურჩევლათ რომ ვიანგარიშოთ, ორ მილიონ მცხოვრებლებზე მეტია; მაშასადამე აქედან ნახევარი მილიონი კომლი მაინც იქნება. კომლზე რომ თითო აბაზი გამოვიღოთ, წელიწადში ასი ათას მანეთს შეადგენს და ასეთი ღონისძიებით არა თუ შინ დავაბინავებთ ჩვენი ეროვნების დამცველ მუშაკთ, ბევრს საიმედო ყმაწვილებსაც გამოვგზავნით უფრო განათლებულ ქვეყნებში. დროა, სწორედ ასეთ ღონისძიებას მივყოთ ხელი იმ წუთს, როცა ქართველი განათლებული ნასწავლი კაცები დღითი-დღე მრავლდებიან, რომელნიც უპატრონობის გამო ძალაუნებურათ ცხრა მთას იქით იკარგებიან ლუკმა-პურისთვის, იმის მაგიერათ, რომ ამათი ცოდნა, ღონე და ძალა ჩვენის ერის განათლებას და აღორძინებას მოვანდომოთ.

რაიცა შეეხება „კვალის" რედაქციას დიდი სიამოვნებით მიიღებს ამ საქმის შეწირულობას და კიდეც ეცდება გაუძღვეს ამ საქმეს შეძლებისდაგვარათ.

## განცხადებასავით

ქართველებს რომ დღეს ბევრი სხვა-და-სხვა საჭიროება გვაქვს და აუარებელი საქმეც გვაწევს ტვირთათ, ეს ვინ არ იცის?.. მაგრამ არცერთი კი მათგანი ისეთი საჭირო და სასწრაფო არ არის, როგორც „ზეპირ-გადმოცემების" შეკრება და შეგროვება!.. შედარებით ამ დიდ-საქმესთან სხვები ყველა თითქმის „ჩხირ-კედელაობათ" უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ჩვენ კი მაინც ამოდენი ხანია განზე ვუდგებით ამ საჭირო საქმეს. ხალხური პოეზია უტყუარი სარკეა გადასულ ცხოვრების და ისტორიის მტკიცე საძირკველი, და მიტომაც ცნობილია დღეს ყოველ განათლებულ ერისაგან ერთ უპირველეს საჭიროებათ. ჩვენი, ქართული „ზეპირ-გადმოცემები" მით უფრო შესანიშნავი არიან სხვებისაზე, რომ კერძო მნიშვნელობას გარდა, მსოფლიო ხასიათიცა აქვსთ: საქართველო იყო ხიდათ და გზათ იმ დიდ-მოძრაობის დროს, როდესაც სხვა-და-სხვა ერი აზიიდან ევროპაში გადადიოდა!—მაშასადამე, ჩვენი ქვეყანა, უძველეს დროიდანვე ბევრის

მომსწრეა, მნახველი და მოწამე. ამას დავუმატოთ კიდევ ის გარემოებაც, რომ ქართველი საზოგადოთ ბუნება თანაზიარია და რაც უნახავს, ან გაუგონია, უყურადღებოთ არ დაუგდია: ყოველივე შეუსწავლია და საშვილიშვილოთ გადმოუცია საზეპიროებით. არსად ისე გავრცელებული არ ყოფილა ,,მეზღაპრეობა“, „მესტვირეობა“ და მეშაირობა“, როგორც ჩვენში!.. საშვილიშვილოთ გადმოიცემოდა ხოლმე ერთი-მეორისაგან ასისა და ათასი წლის ანბები და ამის გამო უმაღლეს წერტილამდე იყო აყვანილი ჩვენი სახალხო პოეზია. ძველი და ახალი აღთქმა სულ ერთიანათ გალექსული იყო და ტრიალებდა ჩვენ ხალხში!..

ვის არ გაუგონია ჩვენში საუცხოვო შაირები „აბრაამზე“, „იობზე“, „მოსეზე“, „სოლომონზე“ და სხ?.. არც ერთი რამ შესანიშნავი მოვლინება არ ყოფილა ჩვენში, რომ ხალხს უყურადღებოთ დაეგდოს და შაირი არ გამოეთქვას!.. აბა, რომელ გმირზე არ გაუთქვამთ შაირი?.. ამას გარდა ძველი ხალხების მითოლოგია სულ ჩვენ ზღაპრებში არიან მოქცეული, აქვე შეხვდებით ჰომიროსისა და სხვა ძველი დროის მწერლების თხზულებასაც ნაწყვეტ-ნაწყვეტათ, მაგრამ ქართული ხასიათით და სულით კი.—ვინ იცის, ჩვენ გადმოგვიქართულებია, თუ იმათ გადაურჯულებიათ ჩვენი რამე?—ესეები ყველაფერი დღემდი კარგათ იყო ჩვენში დაცული, სანამ საშვილიშვილოთ გადადიოდა!..

მხოლოთ საქართველო წარმოადგენს ერთა-ერთ მაგალითს, სადაც „ბატონ-ყმობის“ დროს ზოგიერთ გლეხებს მთელი გვარეულობით ზღაპრებისა და შაირების მეტი არა ემართათ რა გადასახადი. დღეს, როდესაც ძველი წეს-წყობილება დაირღვა-დაიშალა და ახალგვარი ცხოვრება შემოვიდა ჩვენში, ამ ჩვეულებასაც ე. ი. ზეპირ-გადმოცემასაც ბოლო მოეღო. ახალ-დგმას აღარ ეხალისება ეს ძველებური საზეპიროები და მოხუცებულ მამებს საფლავში თან ჩააქვთ ეს ძვირფასი განძი!.. ერთი ათი წელიწადი კიდევ და მშვიდობით!.. ჩვენიი დღევანდელი დაუდევრობით დავკარგავთ იმას, რისიც მოპოება მერე შეუძლებელი იქნება. ეს აზრი მე ამ ოცის წლის წინათაც გამოვთქვი „დროებაში“ და ზოგიერთებმა კიდეც მომაწოდეს მათგან შეკრებილი ზღაპრები და არაკები, მაგრამ შემთხვევით, გზა-და-გზა და სამოწყალოთ ამგვარი რამ არ გაკეთდება!.. იმათი შრომა უნაყოფო გამოდგა, რადგანაც ამისთანა საქმეს გულდაგულ შედგომა უნდა და ცოტაოდენი ცოდნაც. მოუმზადებელი კაცი ვერ მიხვდება, რას უნდა მიაქციოს ყურადღება და როგორი უნდა ჩაწეროს გაგონილი?.. უთუოთ შეგნებული კაცი უნდა იყოს.—და, აი, მე რას ვფიქრობ, რომ ამ საქმეს ეშველოს რამე: ბევრი შეგნებული და გვარიანათ მომზადებული ახალგაზდები არიან დღეს ჩვენში უსაქმურათ, რომ დღიურ საზრდოს ეძებენ და ვერ უშოვნიათ!.. აი, იმათ უნდა დაუნიშნოთ წლიური საზრდო-საფასო და გავგზავნოთ ჩვენი ქვეყნის სხვა-და სხვა მხარეებში... უნდა თითოეულ მათგანს მივუჩინოთ რამდენიმე მაზრა, რომელიმე ხეობა და გულდაგულ იქ ვამუშაოთ!.. იმათ უნდა სულ ფეხდა-ფეხ მოიარონ მათდამი დანიშნული ადგილი; რაც კი გაიგონონ ზეპირ-გადმონაცემები: შაირები, არაკები, ზღაპრები, ანბები და სხვანი, სულ უმეტ-ნაკლებოთ ჩაწერონ; ისე, რომ არა თუ კილო და სიტყვა, თითქმის ერთი ასოც არ შეცვალონ იმ თქმულებათა.—აგვიწერონ აგრეთვე სხვა-და-სხვა ჩვეულება; როგორც სალხინო, ისე საჭიროც.—ერთი სიტყვით, ეს უნდა იყოს მხოლოთ ფოტოგრაფიული შრომა: უტყუვრათ გადიღონ და გადმოგვცეს ნანახი და გაგონილი.—ამავ მოგზაურობის დროს უყურადღებოთ არ უნდა დატოვონ არც ძველი ნანგრევ-ციხე-დარბაზ-ტაძრები, გამოიკითხონ იმ მაზრაში რა ხეებია? რა მცენარეები? რა არის მათი თვისება? თუ რამეა მათზე გადმოცემა და სხვანი და სხვანი:—რა წყაროებია? რა მდინარეები? რა პირუტყვები? რა მხეცები და რა ფრინველები? ერთი სიტყვით, ყველაფერს მიაპყრან გონება!..

ამ გვარით შეგვიგროვდება დიდი და შესანიშნავი მასალა, რომელსაც მერე მეცნიერება გაარჩევს.—ეს ყველაფერი კარგიო, მაგრამ საშუალება სად არისო? მკითხვენ და მაგაზე მეც დიდი ხანია ვფიქრობ!.. თუ კი სხვა-და-სხვა საქმეებისთვის გროვდება შესაწირი, ეს უფრო ღირსი არ არის თანაგრძნობისა? ამასწინათაც ვწუხდი ძ დავით ბაქრაძის შემოწირული ფული დავუდევი მე ძევლათ ამ სახალხო ფონდს. მადლობა ღმერთს, უმაგალითოთ არ დარჩენილა! აი, ახლაც მოუგროვებიათ და გამოუგზავნიათ ჩემთვის ოცი მანეთი ქვემოხსენებულ პირთ, რომლისათვისაც უგულითადეს მადლობას ვწირავ მათ!—იმედია, რომ სხვებიც თანაუგრძნობენ ამ კეთილ საქმეს და დიდი ხნის ნატვრა ასრულდება. მხოლოთ სურვილია და გული ამ საქმისათვის საჭირო!.. ეს კია მხოლოთ, რომ ამ საქმეს დაჩქარება უნდა და სადღე-ხვალიოთ გადასადები არ არის!.. შესაწირი ვისაც სურს, შეუძლია „კვალის“ რედაქციის სახელობაზე გამოგზავნოს.—მათი სახელი და გვარი გამოცხადებული იქნება გაზეთში და, თუ ისურვებენ, შეწირულების რაოდენობაც.—დასასრულ კი ევ ვარწმუნებ ყველას, რომ მოღვაწეებისათვის სადილ-ვახშმის და მეჯლიშების მართვაზე და აგრეთვე სიკვდილს შემდეგ გვირგვინების და ძეგლების აგებაზედაც, ეს უფრო სასარგებლო და საწრაფო საქმე არის.

აკაკი

## ბ-ნი ლალი და ,,ივერია''

„ივერიის“ № 19-ში არის დასტამბული წერილი ბ-ნ ლალისა შემდეგი სათაურით: „ჟურნალი „კვალი“ ისევ თავის მიმართულების კვლევა ძებნაშია“. *) ამ წერილში ბ-ნი ლალი გ. წერეთელს უკიჟინებს, რატომ მესამოცე წლებისა და მისი წინამორბედი ხანები არ მოიხსენებიაო, როდესაც ახალი ეროვნული პრინციპი ასულდგმულებდაო. ის კიარა ბევრათ ადრე, მაგ. გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანებს, გიორგი ერისთავს და სხვ. ამავე პრინციპის წამოყენების გულისთვის ,,ფრთები შეატუსათო''.

ბ-ნ ლალს რომ ჩვენი გონებითი წარმატების ხანები კარგათ შეესწავლა, ასეთს შეცდომაში არ ჩავარდებოდა. მართლა რომ გრ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი, გ. ერისთავი და სხვები მათი მიმყოლები ისე სავსებით ყოფილიყვნენ ეროვნული პრინციპით გატაცებულნი, მაშინ ისინი ტირილს აღარ დაიწყებდნენ ყმების განთავისუფლებისთვის როგორც ეს თ. გ. ერისთავმა ინება 1864 წელს სათავადაზნაურო კრებაში: „რაღა გვეშველება?.. ხომ დავიღუპეთ, გლეხები რომ ყმებათ მოგვეშალონო“?. მის ქვითინს და ცხარე ცრემლით მოთქმას ბანი მისცა თთ. გრ. და ვახ. ორბელიანებმა და მრავალმა მაშინდელმა წარჩინებულმა თავად-აზნაურობის წარმომადგენლებმა. მაშინ რომ თთ. გრ. და ვ. ორბელიანებს და ერისთავებს ნამდვილი ეროვნული პრინციპი კარგათ ესმინოდათ, არც ისე განკერძოებულნი და უთანაგრძნობო დარჩებოდნენ, როცა მათ ,,ფრთები შეატუსეს''.

იმათი ეროვნული პრინციპი მარტო თავად-აზნაურობის კეთილდღეობაში გამოიხატებოდა. იმათ მარტო თავად-აზნაურობა ეგონათ ერი და ისიც ყველა კიარა, არამედ მხოლოთ წარჩინებული საქართველოს ზოგიერთი გვარები. როცა თთ. გრ. და ვახ. ორბელიანები თავის ლექსებში მოთქვამდნენ წარსულს საქართველოს ერს, იმათ თვალ-წინ უდგათ მხოლოთ „ბაგრატიონთ“ დიდება, შანშე ერისთავისთანა და გივი ამილახვრისთანა კაცების სვე-ბედი. ესვე ითქმის მესამოცე წლებისა და მესამოცდა-ათე წლების ზოგიერთ მოღვაწეების შესახებ, რომელნიც დღემდი ამ პრინციპს ქადაგებენ, როგორც მაგალითათ „მევლე“ და მისი მომაძლიერებელი.

მაგრამ დღეს მესამოცე და მესამოცდაათე წლების მეთაურების საქმე ისტორიას ეკუთვნის ისე, როგორც მათი წინამორბედი დროებისა. ჩვენ ამ წარსულ ხანებს ჯერ არ შევეხებივართ კრიტიკულათ და როცა შევეხებით, მაშინ ვეცდებით კიდეც ბ-ნ ლალს დავანახვოთ, ვინ იყვნენ იმ დროებში ნამდვილი ეროვნული პრინციპის დამცველნი და ვინ არა. დღეს ჩვენ მხედველობაში გვაქვს მხოლოთ მეოთხმოცე და მეოთხმოცდა-ათე წლების თაობანი, რომელნიც პრინციპების მიხედვით სამ დასათ გაიყვნენ. უფრო ამ ხანების ინტელიგენციაზე ვლაპარაკობთ ჩვენ, რადგან ყველამ იცის, რომ რუსეთში მეოთხმოცე წლებიდან გადატყდა ერთნაირი საზოგადო ცხოვრების მიმდინარეობა და იქ ძლიერათ წამოყო თავი ისევ ძველებურმა გვაროვნების გამაგრების პრინციპმა, რომელმაც მოითხოვა თავის წოდების ისევ ხელახლათ ძლევა-მოსილობა. ეს მიმართულება ჩვენს ქვეყანაშიაც გადმოინერგა და, აი, ამან მეოთხმოც-და-ათე წლებში გამოიწვია საწინააღმდეგოთ ახალი პროგრესიული (წარმატების მიმდევარი) მესამე დასი.

ბ-ნი ლალი აცხადებს, რომ ჩვენც მაგვარ ეროვნების პრინციპს მივდევთ, როგორც „კვალიო“. თუ ეგ მართლა აგრეა, ჩვენ დიდი სიამოვნებით მივეგებებით ამ ახალს „ივერიის'' მიმართულებას. მაგრამ წარსულის წლების „ივერიის“ და „მოამბის“ წერილები სულ სხვას ქადაგებდნენ. ამას მალე დაამტკიცებენ დაწერილებით „მესამე დასის“ მწერალნი. ხოლო დღეს, რასაც ბ-ნი ლალი გვიცხადებს, ეგ ჯერ მარტო სიტყვებია. ვნახოთ საქმით, როგორ გაამართლებთ ამ პრინციპს. აი, ამ წელში ცხოვრებამ წამოაყენა ახალი საკითხები. უნდა შეიმუშაონ ახალი ტიპი სათავად-აზნაურო შკოლისა, უნდა დაარსდეს მწარმოებელი და ნაწარმოების გამყიდველი ამხანაგობები, უნდა დაარსდეს მეურნეობის და მრეწველობის ხელის გასამართავათ საურთიერთო ბანკი. აბა, გამოთქვით, გაატარეთ თქვენი ეროვნული პრინციპი იმ დაწესებულებათა ტიპის შესახებ და მაშინ გამოჩნდება ნათლათ თქვენი ეროვნული პრინციპის პროგრამაც.

გ. წერეთელი.

---

*) ბ-ნ ლალს რომ ჩვენი სას ემძღვანელო სტატიები კარგათ წაეკითხა, ასეთ სათაურს არ მისცემდა თავის სტატიას. ჩვენ საქმენი პრაქტიკული გვაქვს მიმართულებაში: ყველაფერს ცხადი პროგრამის კვალი აჩნია.

გ. წ.

## სხვა-და-სხვა ამბები

—

მადლობა ღმერთს, რომ წელს „ივერიას“ ეტყობა უფრო სასიცოცხლოთ ფერისცვლა. მან ძველს „ახირებულ პრეტენზიას“ თავი დაანება და ახლა რუსინების ეროვნების შევიწროების გამო ქადაგებს შემდეგს:

„მართლა და რა დიდი, გაუზომელი ვაება უნდა იგრძნოს კაცმა, რა ტანჯვა და ჯოჯოხეთი უნდა ატაროს გულით, როდესაც მას ძალის ძალით, უსამართლოთ ავიწყებენ იმ ენას, რომლის შემწეობითაც პირველათ დედის სიყვარული და გრძნობები ტკბილის „ნანა“-თი გარდაეცა, რომლითაც ღმერთი უდიდებია, მოყვარე შეუმკია, მტერი გაუკიცხავს, სიყვარული უგალობნია?! რა საშინელი სითამამე და სულმდაბლობაა სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვის მოსპობა! რითი უნდა ახსნას ამის მომქმედმან ასეთი საქციელი? რითი უნდა იმართლოს თავი სინიდისის და შთამოების წინაშე? ნუ თუ მით, რომ ღმერთი ვერ გაიგებს იმ ენაზე ვედრებას, რომელიც მდევნელს ეზიზღება და არ მოსწონს?“

რაიცა შეეხება „Московск. Вѣдом.“-ების ძლიერ გასაკიცხს სიტყვებს ავსტრიის ძალმოძრეობის შესახებ, რომელსაც საწყალი რუსინების ხალხი ისე შეუვიწროვებია, რომ თითქმის სამშობლო ენასაც ართმევენ და ამ სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვასაც უკრძალევენ, ჩვენ დიდი თანაგრძნობით ვეგებებით „მოსკოვის უწყებების“ კეთილშობილურს გულისწყრომას წინააღმდეგ ავსტრიის მთავრობისა; მაგრამ ასეთს კეთილშობილური გრძნობის გამოცხადებას უფრო უანგარო და დიდი ფასი ექნება, თუ მოქადაგე თვითონაც გულწრფელათ ასრულებს იმავ ზნეობით მცნებას თავის უმცროსი ძმების შესახებ. კარგი იქნება, რომ „მოსკოვის უწყებები“ თავის საკუთარს ქვეყნებშიაც ამავე კეთილშობილური გულისწყრომით გაუმკლავდებოდეს ყველას, ვინც კი არღვევს მის მიერ გამოთქმულ მცნებას რუსინების შესახებ.

***

ქ. გრაციდან ამ წლის აპრილს მოვა საქართველოში ცნობილი სანსკრიტოლოლი გუსტავ მაიერი ქართული ენის შესასწავლათ.

***

აქამდის ბირჟის მაკლერები დიდ უწესოებას ჩადიოდენ მითი, რომ ბანკის ბილეთებს და სარგებლიან ქაღალდებს ყიდულობდენ და მერე ყიდდენ. ისინი საერთო შეთანხმებით ხან აწევდენ ფასს, ხან დაწევდენ. ამის გამო ხშირათ ბანკებს აგდებდენ გასაჭირ მდგომარეობაში. მრავალი კერძო შეძლებული კაცები იმათი მეოხებით ჰკარგავდენ ქონებას და კიდეც კოტრდებოდენ; ის კიარა თვით ბანკებიც დიდ ზარალში იყვენ. ახლა ფინანსის მინისტრმა აუკრძალა ასეთი ვაჭრობა სარგებლიანი ბილეთებისა მაკლერებს. იმათ მოუსპო სესხით ფულის გატანა სარგებლიან ქაღალდების დაგირავებით სახელმწიფო ბანკებში.

***

გადაწყვეტილია, რომ წელს შავი ზღვის პირებზე სოჭას და ტუაფსეს გემების მისადგომები და საქონლის დასაწყობები გაკეთდეს. ამის გულისთვის სამოცდა-ათი-ათასი მანეთია გადადებული.

***

სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის წარმომადგენელს უნდა ნებართვა აიღოს მინისტრისაგან, რომ მიეცეს მას ღონისძიება შეკრიბოს ყოველნაირი ცნობა კავკასიის აქეთა მხარის გლეხების ნივთიერი მდგომარეობის შესახები და შეისწავლოს მათი ეკონომიური ვითარება ადგილობრივათ ადგილის მცოდნე კაცების შემწეობით.

***

სახელმწიფო ბანკი წესდების 73 მუხლის ძალით მიცემს სესხს ყველას, ვისაც აქვს კანტრახტის ძალით მოწმობები სხვა-და-სხვა სავაჭრო საქმეებში ფულის მისაღებათ, მაგალითათ თუ ვისმე აქვს სახაზინო „პოდრიადები“ ასასრულებლათ, ან კერძო კაცებთან ხელშეკრულობა სამუშაოების ასასრულებლათ, გინდ სავაჭრო ფირმებთან და კერძო დაწესებულებასთან.

ვისაც ჰსურს სახელმწიფო ბანკიდან სესხი გაიტანოს, უნდა შეიტანოს ბანკში წერილობითი თხოვნა და უჩვენოს, როგორი პირობები აქვს შეკრული ფულის მისაღებათ და ვისგან აქვს ასაღები. ასეთი მოწმობები სესხის ასაღებათ ბანკში ნაჩვენებ ფორმით უნდა იყოს დაწერილი და ოთხაბაზიანი მარკა ეკრას. ბანკი გამოიძიებს იმ კაცების კეთილსინდისიანობას და თვით კანტრახტების ძალას, რომლის გირაოში უნდა მიეცეს მოიჯარადრეს სესხი, აგრეთვე მოიჯარადრის შეძლებას და მის სანდო პიროვნებას. ამგვარი სესხი პირადი ვექსილით მიეცემა მსესხებელს და თან ფულის ასაღებ მოწმობებსაც გირაოთ მიიღებენ. სასესხო ფულის რაოდენობის გადამწყვეტი, ან ვის რაგვარ მოწმობებში უნდა მიეცეს სესხათ, ან რამდენი უნდა მიეცეს, არის კამიტეტი, რომელიც თავის მოსაზრებას წარუდგენს ბანკის რჩევას და ის დაამტკიცებს. მოწმობებზე სესხი მიეცემათ ექვსი თვის ვადით, თუ მოწმობები არის სახაზინო დაწესებულებათაგან და თუ კერძო პირებისაგან იქნება, მაშინ სამი თვის ვადით. ვისაც უფ-

რო ხანგრძლივათ უნდა სესხის აღება, ამის ნებართვა ბანკის რჩევაზეა დამოკიდებული.

* * *

19 იანვრიდან თფილისის გუბერნატორთან არის რჩევა გამართული შესახებ სასოფლო გამგეობისა. მონაწილეობას იღებენ გუბერნიის საგლეხო სასამართლოს წევრები, ზოგიერთი მაზრის უფროსები, მომრიგებელი მოსამართლეები და თავად-აზნაურების წინამძღოლმელნი.

* * *

ამავე რიცხვს ღამით გორის სადგურზე რკინის გზის სატარებელ სადგომში მოიპარეს 5,519 მან. და 33 კ.

* * *

სომხის სამრევლო შკოლების ზედამხედველმა თფილისის გუბერნიაში წარუდგინა ანგარიში სომხის კათალიკოსს ხრიმიანს, საიდანაც ვცნობთ, რომ ზემოხსენებულს გუბერნიაში ყოფილა ოთხმოცდაცხრა სომხური სამრევლო შკოლა.

* * *

ამბობენ, რომ სამოსამართლო მინისტრი მურავიოვი თავის ორი დირექტორით მობძანდება თფილისს აპრილის შუას. ვგონებ, საჭირო არ უნდა იყოს, გავახსენოთ ჩვენ საზოგადოების წარმომადგენლებს, რა მოვალეობაც აწევთ მათ ხალხის წინაშე, რომ მინისტრს წარუდგინონ დასაბუთებული მოხსენებანი, თუ რა დაბრკოლებაშია ჩვენი ხალხი ჩავარდნილი იმისგამო, რომ მას საერო და საყოველთაო სამართალი თავის ენაზე არა აქვს და ადგილობრივ ზნე-ჩვეულებაზე და ერის გონებრივს შეხედულობაზე არ არის მოწყობილი გასამართლება სამოქალაქო საქმეთა და განსჯა დამნაშავეთა.

* * *

4 თებერვალს საღამოს ბაქოში მართვენ ქართულ ლხინს და ცეკვა-თამაშს მრავალნაირ სხვა-დასხვა ტანცმულობით საქველმოქმედო საქმის სასარგებლოთ.

* * *

1893 წელს კულაში მოუტანიათ გასაყიდათ ბევრი აბრეშუმის თესლი, სულ ავათმყოფები. კულაშელები და ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებნი დასევიან, უყიდიათ ეს თესლი: მაგრამ აბრეშუმის ჭიები დახოცილა და მარტო კულაშს უზარალნია ხუთას თუმნამდის. საჭიროა, რომ ამგვარს გაიძვერა აბრეშუმის თესლის გამყიდველს აეკრძალოსთ ხალხის მოტყუება და თეითონ მთავრობამ მიიღოს ზომა, რომ შემდეგში კარგი თესლი მიაწოდონ სოფილს ხალხს.

* * *

კავკასიის რკინის გზის უფროსი პუშეჩნიკოვი ამ დღეებში დაუბარებიათ პეტერბურგს, ვითომც იმ განზრახვით, რომ დაწვრილებით გამოჰკითხონ ყარსის რკინის გზის გაყვანის საქმე და თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზის გამგეობა.

* * *

ქუთაისის ქალაქის საბჭოში შეუტანიათ თხოვნა კათოლიკების ქუჩაზე მყოფ სახლების მეპატრონეებს უსუფთაობის მოსასპობათ. ასეთი უსუფთაობა წარმომდგარა იმის გამო, რომ საზოგადოთ ქუჩებზე აყენებენ ურმებს და იქვე გამართულია სოფლიდან შემოტანილი ხე-ტყისა და ხორაგის ვაჭრობა. საკვირველია ქუთაისის ქალაქის გამგეობის უყურადღებობა ამ შემთხვევაში. ქალაქს აქვს რამდენიმე სავაჭრო მოედანი საყანთროებით; მაგალითათ ალავიძისაგან შეძენილი საყანთრო სავაჭრო მოედანი და აგრეთვე სხვაგანაც. რატომ გამგეობა ზემოხსენებულ მოედანზე არ გაამართვინებს რიგიან ვაჭრობას? მაგრამ ეს ამბავი ალბათ შუაგულ ბაზრის შეძლებულ ვაჭრების ზეგავლენით არის, რადგან ამ ვაჭრებს სურს, რომ ფეხგაუდგმელათ, ყოველივე სავაჭრო ხორაგეულობა კარზე მიუვიდესთ და ქალაქის გამგეობაც ალბათ იმათ ხათრს უწევს. ამის გამო ალავიძისეული საყანთრო ცარიელია და, სადაც რიგი არ არის ვაჭრობისა, იქ კი ბუზებივით ეხვევა სოფლის ხალხი თავის ურმებიანა, ვაჭრობენ და ხალხს უსუფთაობით სული ხთებათ.

* * *

დიდ მწუხარებაშია ჩვენი ტყის მეპატრონეები იმის გამო, რომ ხშირათ ლესნიჩები თავისი ტყის მცველებით ძალმომრეობას ხმარობენ, აუტეხენ დავას მეპატრონეებს, პოლიციის ძალით ხელს აღებინებენ საკუთრებაზე, თვითონ იბარებენ ტყეებს და ნამდვილ მეპატრონეებს სამართლისკენ უშვერენ ხელს: იჩივლე და თუ მოიგებ, შენი იქნებაო. კიდევ მადლობა ღმერთს სასამართლოში რომ დროზე განიხილავდენ ხოლმე საქმეებს. საქმე წლითა-წლამდე არ ირჩევა და მეპატრონეების ტყეები კი ლესნიჩებს აქეთ დაპყრობილი. ვინ არის გამკითხავი? იმედია, სასამართლო მიაქცევს ასეთს უსამართლობას ყურადღებას და ჩქარა დანიშნავს ხოლმე ტყის დავების გარჩევას.

* * *

ბათუმის მხარეს ჩაქვის გარემოში მთავრობა დიდ მამულებს ყიდულობს საუფლისწულოთ და ამ ბოლოს დროს მცოდნე კაცებმა დაამტკიცეს, რომ ჩაქვის ადგილებში ისეთივე ჰავა და მიწის ნიადაგია, როგორც ინდოეთისა და იაპონიის ქვეყნებში, სადაც ჩინებული ჩაი მოდის. ამის გამო მთავრობას გადაუწყვეტია რამოდენიმე მეცნიერი და გამოცდილი კაცები გაგზავნოს ინდოეთისა და იაპონიის ქვეყნებში იმ ალაგების დასათვალიერებლათ, სადაც საუკეთესო ჩაი მოდის, რომ შემდეგ იქიდან მოტანილი ჩაის ნერგებით ჩაქვის საუფლისწულო მამულში გააშენონ ეს ძვირფასი მცენარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პ ა ნ ო რ ა მ ა

ზოგს ის მოწონს, ზოგს ეს მოწონს,
სულ სხვა-და-სხვა, ბევრი რამა;
მე კი ყველას მირჩევნია
პაწაწინა პანორამა:

—

ჩაიხედავ—გამოჩნდება
ყველა ნათლათ, უტყუარათ,
გინდ იხმარონ მელის ტყავი
პირ-ბადეთ და ხელში ფარათ.

—

ყველგან არის... ბევრ-გვარია
ამისთანა საჭვრეტელი,
მაგრამ ჩვენში ერთი არის:
„საზოგადო სარბიელი“.

—

ვინც გინდათ და ვინც არ გინდათ
აქ შეხვდებით ყველას ერთათ;
გაბერილებ-გაკუდულებს,
თავი მოაქვსთ რაღაც ღმერთათ.

—

პირ-ბადეთ და გზა-და-ხიდათ,
გაუხდიათ სიყვარული!..
სათვალმაქცოთ იძახიან:
„ოჰ, სამშობლო, ოჰ, მამული!“

—

ენა-ჭახრაკ, საქმე-ხრიკა,
საგულ-კუჭე ლიბერალებს,
ყველას, გულში სულ სხვა უძევს!..
თავში სხვა რამ უტრიალებს!

—

გვატყუებენ, გვაბრიყვებენ,
გზას გვიხლართევენ წარა-მარა!..
დროა თვალი გავახილოთ!..
რაც მოვტყუვდით, ისიც კმარა...

—

ვინც იჩემებს მოღვაწობას,
მოღვაწეა განა ყველა?
ზოგჯერ თურმე ძაღლივით ჰყეფს
მატყუარი კუდა-მელა,

—

არა, არა! სხვა დრო გვინდა!..
გამოვიდეს სულ სხვა დასი,
რომ ძველსაცა და ახალსაც
ღირსეული დასდვას ფასი.

—

ჩვეულება—ტრადიციათ
ვინ თქვა ქვეყნის სამსახური?
ვინც ღირსია—მას თაყვანი!..
ვინც არა და—მას პანღური!..

—

მაშინ მხოლოთ ჩვენი ქვეყნის
წარმატებას დავიჯერებ...
გულს ვაძგერებ საზულზულოთ!..
ჩანგს სავარდოთ ავაჟღერებ!!.

—

მანამდი კი წინ დაგიდგამთ
გასაცნობათ პანორამას
და გიმღერებთ იმერულათ
„გეეგოჩას“ და „ჩაირამას“.

აკაკი

(შემდეგი იქნება)

## სპეცის მაცხოვრის ცამრის კანკელი

ერთ შესანიშნავ არხეოლოღიურ აღმოჩენათ უნდა ჩაითვალოს 1892 წელს გ. წერეთლის მიერ ნახული და აწერილი კანკელი მდ. ყვირილის ხეობაში ჭალის მთაში ს. სპეტის მახლობლათ. ეს კანკელი შესანიშნავი მითია, რომ ერთიანი ცემენტით არის გაკეთებული. კანკელს აქვს ხუთი კამარა, ჩვენს სურათზე კი სამი კამარის მეტი არ გამოვიდა ფოტოგრაფიით. თვით ტრაპეზი, ესე იგი საკურთხეველი, არის ამაღლებული, ფრიად ძველი ტიპისა. ალსავლის კარებში დაკიბული საფეხურებია და წინ ამბიონი არა აქვს. ალსავლის კარების პირდაპირ არის ამართული ერთიანი ოთხკუთხი ქვის კვარცხლბეკი ორი არშინი და ერთი მეოთხედი სიმაღლე. ამ კვარცხლბეკზე ამართულია დიდი ხის ჯვარი სიმაღლით საჟენ-ნახევარი. ჩუქურთმა კანკელისა გასაოცარია თავის წმინდა ხელოვნებით. ჩუქურთმაში შვენიერათ ჩაქსოვილია მცენარეულობა ქართულ გრეხილებთან. აქ თქვენ ჰპოებთ აკანტის დიდ ფოთლებს და აგრეთვე ზამბახის ოთხფოთლოვან ყვავილს ჯვარის სახეთ გამოქანდაკებულს. კამარის სვეტები, განსაკუთრებით მისი ოთხკუთხი კაპიტელები და ბაზები აკვირვებს კაცს მოყვანილობით და ჩუქურთმის ხელობით; ალსავლის კარის კამარას გვერდებზე გამობერილი აქვს ხომ-

ლის ბურთები შვენიერი ხელობისა. ყოველივე ეს მოგვაგონებს ძველს რომანულს ხელობას, რომელსაც სათავე ასურეთის ხუროთ-მოძღვრების ხელობაში უნდა ჰქონდეს. თვით ტრაპეზის აგებულება და შენობა, მასთან ამართული ჯვარი კანკელის წინ, რომელიც სრულიათ ფარავს ალსავლის კამარას და მოგვაგონებს საქართველოს პირველ ქრისტიანობის დროს, როცა საკურთხევლის წინ ყოველ ტაძარში უნდა ყოფილიყო ამართული ჯვარი მოსაგონებლათ სვეტი-ცხოველისა, გვიმტკიცებს, რომ სპეტის მაცხოვრის კანკელში, მის საკურთხევლის შენობაში და წინ კვარცხლბეკზე ამართულ ჯვარში ჩვენ უნდა ვხედავდეთ ძველს ქართულს უმაღლეს წერტილამდე მიღწეულს ხუროთ-მოძღვრების და ჩუქურთმის ხელოვნების ნაშთს. ეს ძვირფასი ძეგლი წარსულისა ნამდვილათ ამტკიცებს საქართველოში უმაღლესათ განვითარებულს სტილს ნაციონალურის ხუროთ-მოძღვრებისას. აქ არ ჩანს ბიზანტიის ზეგავლენა. ეს უფრო ძველია და აქვს სათავე უძველეს კლასიკურ ხელოვნებაში. ეს შესანიშნავი ძეგლი ქართული მაღალი კულტურისა ბედნიერი შემთხვევით დღემდე დარჩენილა ხელ-შეუხებელი. საუკუნეებს ამ ნაშთზე თავისი გამანადგურებელი, დამრღვევი გრიგალი არ მოუხვედრებია იმის წყალობით, რომ ეკლესია ყოფილა საკვირვლათ მკვიდრათ ნაშენი მაღალ მთის მწვერვალოზე, საცა კაცის ხელი ვერ მიუდგებოდა. ეკლესია გადურჩენია ბუნების ძალის სიმკაცრისაგან მის სახურავს, რომელიც შედგება ქვასავით მაგარ ძველი კრამიტისაგან. კრამიტი-კრამიტზე გაქვავებული გაჯით არის მიკრული, ასე რომ უფრო ადვილათ შესაძლებელია თვით კრამიტი გატყდეს, ვიდრე კრამიტი-კრამიტს მოცილდეს, ასე რომ მთელი კრამიტის სახურავი ჟამთა ვითარების გამო ერთიან კლდეთ გადაქცეულა. მას წყალი არ ჩაუშვია სახურავში და ამის მეოხებით დაცულია ეს ტაძარი და მასში კანკელი ხელუხლებლათ. ასეთი შესანიშნავი ისტორიული ნაშთის ფოტოგრაფიული სურათები თავისი აწერილობით უკვე გაგზავნილია მოსკოვის არხეოლოგიურ საზოგადოებაში. თვითონ აქ გადაღებული ლიტოგრაფიული სურათი კანკელისა და ჯვარისა ჩრდილიც არ არის ნამდვილისა და ამით ოდნათაც ვერ წარმოიდგენს მკვითხველი იმ შვენიერებას, რაც არის ნამდვილათ. ჯვარის გარშემო ჰყრია აუარება ირმის რქები, მონადირეებისაგან შეწირულები. გ. წერეთელი გააკვირვა ორმა ლოსის რქამ. როგორც ვიცით, დღეს კავკასიაში აღარ ბინადრობს ლოსი. ჰჩანს ოდესმე კავკასიაშიაც ყოფილა ეს ცხოველი.

## საყურადღებო ამბები

სამტრედია. ხუთი წლის წინეთ ჩვენს დაბაში დაბინავდა ახალგაზდა ექიმი სერგეი მესხი, რომელსაც კიევის უნივერსიტეტში დაუმთავრებია სწავლა. ვინც იცის, თუ რა იყო დ. სამტრედია ხუთი-ექვსი წლის წინათ, ის უეჭველათ დაგვეთანხმება, რომ ეს ერთობ დიდი გაბედვაა ნასწავლი ექიმის მხრით... ასეთ კაცს, რა თქმა უნდა, წინათვე ექნებოდა გათვალისწინებული, რომ როგორც, საზოგადოთ ჩვენს დაბა-სოფლებში, ისე სამტრედიაში და მის გარშემო დახვდებოდა ცრუმორწმუნიობისა და მკითხავების გავლენას ქვეშ მყოფი საზოგადოება, რომელიც ახლაც ძნელათ ენდობა ნასწავლ ექიმს. რა თქმა უნდა, ამ კაცს ისიც ეცოდინებოდა, რომ ასეთი საზოგადოება ნახევარიც ვერ დააჯილდოებდა პატიოსანი მუშაკის შრომას. მაგრამ ეს პატიოსანი არ შეუშინდა არცერთ ზემოხსენებულ დაბრკოლებებს; ყოველი ეს გაჭირვებანი უძლური გამოდგა ამ კაცისთვის; ის მართლაც საქმის ცოდნითა და ენერგიით შეებრძოლა ცრუ-მორწმუნეობას და ისეთი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა, რომელიც სანატრელია ყოველი პატიოსანი ადამიანისთვის. აგერ სამი წელიწადია თვალ-ყურს ვადევნებ ჩვენი დაბის მაჯისცემას და გაბედვით შემიძლია ვთქვა, რომ ამ პატივცემულ პირს მართლაც თვალ-საჩინო ღვაწლი მიუძღვის ჩვენში. რომ ეს უბრალო, ქარის გასატანებელი სიტყვები არ არის, ამის დასამტკიცებლათ, საკმაოა მოვიგონოთ ხოლერიანი წლები, როდესაც იმან ღირსეულათ შეასრულა თავისი მაღალი დანიშნულება... აგერ სამი წელიწადია, ჩვენში არსებობს სახალხო ბიბლიოთეკა, რომელიც ამდენ ხანს უმეტეს ნაწილათ ამ პატივცემული კაცით იდგამდა სულს. რომ ამ კაცს ღრმა სიყვარული დაუმსახურებია საზოგადოებისაგან, ამის დასამტკიცებლათ საკმაოა ის გარემოება, რომ გავრცელდა ხმა თუ არა ჩვენში იმისი რკინის გზის ექიმათ დანიშვნისა და სამტრედიის სადგურიდან შორს გადაყვანისა, ყველა წუხდა და ლოცვითა და მადლობით იხსენებდა; მაგრამ ბ. მესხის სამტრედიიდან წასვლის დღეს მე

ეროვნული ბიბლიოთეკა



სვეტის ტაძრის კანკელი (გ. წერეთლის მოგზაურობიდან ყვირილის ხეობაში).

თითონ ვიყავი მოწამე ერთი გულ-გამგმირავი სცენისა, რომელსაც აქვე მოვუთხრობ მკითხველებს.

დილის ათი საათი იქნებოდა, რომ ერთი მოხუცი დედაკაცი შემოვიდა ბ. მესხისას.

— რა გნებავსთ? კითხა ექიმმა.

— თქვენი სიცოცხლე, ჩემო ბატონო! რა მენდომება? შვილი მიკვდება და უნდა მამირჩინო— გადაწყვეტილი კილოთი დაიწყო დედაკაცმა,—ქმარი შენი წყალობა მყავს და შვილიც მარჩინე. —რა დაემართა? რითია ავათ?—რა ვიცი, შენი ჭირიმე, ახველებს; გულ-ღვიძლი დამპალი მაქო, ლაპარაკობს. —შენი ღმერთის გულისთვის მიშველე.—რა ექნა დედა, მე ამ საათშივე უნდა წავიდე აქედან; აი, ბილეთიც აღებული მაქვს; მაგრამ ნუ გეშინია, აქ მეორე ექიმია და ის უეჭველათ მოარჩენს შენს შვილს... მეც შევთხოვ... ამის გაგონებაზე დედაკაცმა ტირილი დაიწყო.—არა შენი ჭირიმე, შენ დამიწერე წამალი, თვარა სხვას ვერ ვენდობი; ქმარი შენი წყალობა მყავს, შვილიც შენ უნდა მომირჩინო. რის ვაი ვაგლახით დავაჯერეთ ეს დედა-კაცი, რომ მეორეც კარგი ექიმია, პატიოსანი კაცია და კარგათაც უწამლებს შენს შვილსო... თუ დავეთანხმებით, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ღრმათ აქვს ფესვები გადგმული მკითხავებსა და სოფლის ექიმებს, მაშინ ბევრ რამეს გვეტყვისთ ეს მართლაც ტრაღიკული სცენა. აი, ეს პატიოსანი კაცი გადაიყვანეს რკინის გზის ექიმათ აჯიკაბულის სადგურზე. ჩვენი დაბისთვის, რომელიც ასე ღარიბია განათლებული და სხვისთვის გულშემატკივარი პირებით, დიდი დანაკლისია ასეთი კაცის გაშორება. გაუმარჯოს ამ პატიოსან კაცს!...

ჰ. გ—ლი

* * *

ბათუმი. 25 იანვარს ქალაქის გამგეობის დარბაზში ამორჩევები იყო დანიშნული ქალაქის მოურავისა, წევრების და მდივანისა. მოურავის თანამდებობაზე კენჭი იყარეს ბბ. ლ. ასათიანმა, კ. სევერინმა და დ. ბიკოვმა. ხმის უმეტესობით 19—17 წინააღმდეგ ქალაქის მოურავათ არჩეულ იქმნა ბ-ნ ლუკა ასათიანი. კენჭის ყრაზე უარი განაცხადეს ბ-ნ გრეელსკიმ და თ. ნ. ბ. ერისთავმა. ამ უკანასკნელს ერთხმათ თხოვეს, რომ დათანხმებულიყო კენჭის ყრაზე, მაგრამ უარი განაცხადა და მადლობა უთხრა საბჭოს მოულოდნელი ნდობისა და პატივისცემისათვის.

გამგეობის წევრებათ თუმც ათმა იყარა კენჭი, მაგრამ ამორჩეულ იქმნენ მომეტებული უმრავლესობით ბ.ბ. გრიგოლ ვოლსკი და ი. ივანოვი. მდივნის თანამდებობაზედაც განაცხადეს უარი ზოგიერთთა და ამ რიგათ კიდევ ხმის უმეტესობით ამორჩეულ იქმნა იგივე საბჭოს მდივანი ბ. ი. მესხი.

დღიდან ამ ნაირათ არჩევნებიც გათავებულათ უნდა ჩაითვალოს და დამტკიცებასაც მალე მიიღებენ, რადგანაც შესანიშნავ მწყობრათ და მშვიდათ იყო ყოველივე წესის და წესიერების დაცვით არჩევნები. არჩევნებამდე თუმც ყველას ეტყობოდა მღელვარება, მაგრამ ბოლოს ყველასაგან თითქმის კმაყოფილება ისმოდა. მაშასადამე უნდა მოველოდეთ, რომ ამნაირ მშვიდობიანათ საქმის გათავებას მოჰყვება მშვიდობიანათ საქმეების განხილვაც და ის, რაც მოხდა დღემდე ყოველივე უსიამოვნება.

* * *

ბათუმი. მრავალნაირი ღირს შესანიშნავი მნიშვნელობით, საუკეთესო მდებარეობით და ხანგრძლივი ბუნებითი თბილი ჰავით შემკობილი ბათუმი, სადაც სამოთხის ყვავილიც კი აყვავდება, ჯერ-ჯერობით წარმოადგენს ერთ შესაძრწუნებელ ბუდეს ავათმყოფობისას, განსაკუთრებით კი ციებ-ცხელების სატახტო ქალაქათ ცნობილია ჩვენი ჯანაოზებისაგან. სამწუხაროთ იმაზე ნაკლებათ არის ყურადღება მიქცეული და ამის წყალობით უნდა აიხსნეს, რომ თითქმის სათითაოთ ხანგრძლივათ ბათუმში მცხოვრებთ, ძვალში და რბილში გამჯდარი აქვთ შესანიშნავი ბათუმის „მალარია“ (ხაშმი).

ერთ დროს ვაჭრობით თავმომწონე ბათუმი, დღეს-დღეობით ჯანაოზების და აფთეკრების სავაჭრო სახლს უფრო ჰგავს! აქ, სადაც 16—17 ათასი მცხოვრები ითვლება, ორი აფთიაქია, ერთიც მალე გაიხსნება, და 7 აფთიაქის მაღაზია, რომლებსაც მეფურნეებზე და მეყასბეებზე უფრო მომეტებული მუშტარი ჰყავთ, ასე, რომ თითოეულ მათგანს გარდა ხელათ ექიმების უბარათოთ გაყიდულისა 30 ათასზე გადამეტებული სხვა-და-სხვა წამლები გაუსაღებიათ და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მუშა ხალხი უფრო შინაური ექიმებით იკურნებიან, რომლებისათვის აფთიაქის მაღაზიებში მზადდება წამლები, მაშინ ადვილათ წარმოსადგენია ჯანმთელობა ბათუმელებისა და რა ბაზარი ექნებათ ექიმებს და წამლებით მოვაჭრეთ?

აღნიშნული გულ-საკლავი მდგომარეობა ბათუმელებისა იმითაც აიხსნება, რომ ბათუმი ერთობ ჭაობიანი ადგილია და მისი ჭაობების დასაშრობათ მარტო ქალაქის საშუალებით და ქალაქის თვითმმართველობის გამჭრიახობა საკმარისი არ აღმოჩნდა, რის გამოც საჭიროთ ცნობილ იქნა, რომ თვით ქალაქის მთავრობას მონაწილეობა მიეღო ამ დიდ საქმეში, რომელიც ამდენი ხალხის ჯანმთელობის აღდგენას შეიცავს.

ნათქვამის დასასაბუთებლათ აქ მოვიყვანთ შემდეგ ცნობებს, რომლებიც აღნიშნულია ოთხი წლის წინეთ ბათუმის ერთ დღიურ აღწერილობაში.

ბათუმის ქალაქის საზღვრებში, გარდა საძხედრო პატარა ქალაქათ წოდებულისა და ახალ-შენის დაბისა, ითვლება 385 ოთხკუთხი დესეტინი. აქედან 473500 ოთხ-კუთხი საჟენი დასახლებულათ და 450500 საჟ. დაუსახლებლათ ითვლება, რომელიც განიყოფება შემდეგ ნაირათ:

შენობებს და ეზოებს უკავიათ 381 ათასი საჟ., ქუჩებს და მოსახვევებს 85 ათასი საჟ., მაიდნებს 7¹/₂ საჟ. ტბიანი ადგილებია 37¹/₂ ათ. საჟ., ჭაობიანი ადგილები 105 ათასი საჟ. და დაუსახლებელი 308 ათ. საჟ.

ამ ცნობებიდან მკითხველი ცხადათ დაინახავს, რომ ამდენ ჭაობიან და ტბიან ადგილებს რა სიკეთეც შეუძლია მოუტანოს ხალხის ჯანმთელობას? მართალია მცირეოდენი ნაწილი ჭაობებისა ამ სამი, თუ ოთხი წლის განმავლობაში დააშრეს, მაგრამ ეს სრულიათ საკმარისი არ იყო, აეცილებინათ, ცოტაც არის, მცხოვრებლებისათვის ციებ-ცხელების და სხვადა-სხვა ავათმყოფობის გავრცელება?.. მოუფიქრებელმა უაზრო სიხარბემ, ვითომ და სამადლო საქმეთ ცნობილმა, შეიძლება ბევრი ატიროს და ბევრსაც ძვირათ დაუჯდეს ჯანმთელობის მხრით.

აი, საქმე რაში მდგომარეობს. ახლანდელ ვაგზალთან ახლოს, ქალაქის მესამე ნაწილში, სადაც უფრო მუშა ხალხი ცხოვრებს, თუ ვაჭრობს, იყო ესრეთ წოდებული „დამპალი ტბა", რომელიც მართალია, რომ ცხადათ წამლავდა ბათუმს. ეს ტბა ქალაქმა დააშრობინა და როგორ? თითქმის ნახევარი ამოავსეს ქალაქის ნაგვით და ყოველნაირი სიბინძურით და ზემოდან წააყარეს ქვიშა და კენჭები. ნაწილი ამ ნაირათ დაშრობილი ტბისა დაუთმეს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ქართველთა შკოლას, ნაწილიც ბერძნების შკოლას, სადაც ეს ორივე შკოლა ახლა თავდება და ამ ზაფხულისათვის მზათ იქნება. მაშასადამე ამ წელსვე დაიწყებს რამოდენიმე ასი ყმაწვილი მოზარდი თაობა, უფრო ღარიბი ოჯახის შვილები სწავლას და ყნოსვას დამპალი ჰაერისას. ამავე შკოლების პირდაპირ ნახევარი ამ დამპალ ადგილებისა, ქალაქის გამგეობამ შემოაღობინა რკინის ეკლიანი მართულით და ინახავდა სხვა რაიმე საჭიროებისთვის. ამ ბოლოს შენიშნეს რა, რომ დაყრილი სიბინძურე დალპა და დაიწია ქვეშ, ჰგავს, უფიქრნიათ ხელმეორეთ მისი ამოშრობა, და როგორ გგონიათ, რა ნაირათ? შემოხსნეს შეღობილი მართული და ნებას აძლევენ ქალაქის ტალახი, ნაგავი და სიბინძურე დჰყარონ და ამით დაამთავრონ ეს საქმე!.. ვინ იცის, იქნება ზოგიერთებისათვის ამ ნაირი „хозяйственный способъ-ი" სასარგებლოთ იყოს ცნობილი, მაგრამ არა ვგონებ, რომ უფრო უმეტესობითვის ეს უფრო დიდ უკუღმართობათ და ბოროტებათ არ ითვლებოდეს. ჩვენ, რასაკვირველია, სრულიათ არ გვაკვირვებს გამგეობის ამ ნაირი გულგრილობა ამ ნაირ არევ-დარეულობის დროს, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, ისინი, რომელთა პირდა-პირი მოვალეობაა ამ ნაირ უგუნურება-უწესოებას თვალყური ადევნონ, ეს ბატონები თითქოს ყველას ყურებზე ხახვს აჭრიანო, განგებ თვალებს იბრმავებენ? უფრო გასაკვირველი ამ შკოლების კომიტეტები რატომ ხმას არ იღებენ? მაგრამ, ჰო! ისინიც ამორჩევის საქმეებში გართულნი უნდა იყვნენ და ამისთანა საქმისთვის არა ცხელოდათ. ჩვენი მხრით, ერთად-ერთი საშუალება მიგვაჩნია ამ ადგილების წყალობით ხალხის ჯანმთელობის მოწამვლის ასაცილებლათ, სადაც ასობით ბათუმის მომავალი მოქალაქები უნდა აღიზარდონ, საჭიროა, რომ ეს სანაგვეთ გადაქცეული ადგილი ახლავე დაეთმოს ამ ორ შკოლას საყმაწვილო ბაღათ, რასაკვირველია, ქალაქისავე დახმარებით, რითაც ერთ და იმავე დროს, გარშემო მცხოვრებლებიც და მოზარდი თაობაც აცილდება ათასნაირი ავათმყოფობის გავრცელებას და ქალაქის შუა-ადგილსაც შვენიერი საყმაწვილო ბაღი გაშენდება. ამაზე იტყვიან „მადლს მარილიც წააყარეო".

ურაზანა

ბათუმი. 1895 წ. 19 იანვარი

## სასოფლო შკოლა უნდა იყოს სახალხო

Სასოფლო შკოლა უნდა იყოს, არა მხოლოთ კარგათ მოწყობილი და საზოგადო: უპირატეს ყოვლისა იმან უნდა დაკმაყოფილოს თვითონ ხალხის დღევანდელი ცხოვრების სულიერი და ნივთიერი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი. უმთავრესი მოთხოვნილება ჩვენი ხალხის დღევანდელი ცხოვრებისა—შრომა და მუშაობაა. ისიც შრომობს და მუშაობს, მაგრამ მუშაობს უნაყოფოთ, თუმცა ზედ ალევს მთლათ თავის ძალ-ღონეს. ახლა რა ძალაა ჩვენი ხალხის (გლეხების)

ძალა? — ბრმა და უწესური, მოკლებული ცოდნას და ხერხს! საქმე ასეა და შ რ ო მ ა და მ უ შ ა ო ბ ა კი, მოგეხსენებათ, ერთათ-ერთი წყაროა ჩვენი ხალხის ცხოვრებისა, კეთილ-დღეობის და სიმდიდრის მოპოვებისა. სამეურნეო ცხოვრება ჩვენი ხალხისა შედგა და გაიყინა პირველ-დროების მუშაობის წესრიგზე და მოხერხებაზე; მაგრამ მთელი ღვარი სამეურნეო და ტეხნიკურ აღმოჩენათა და ცოდნათა კი, გვერდზე უვლის მის ბუნებით მეტათ მდიდარს მამულსა!...

დღევანდელი შკოლა დამყარებულია მხოლოთ პირველ-დაწყებით წერა-კითხვაზე. ისიც უმეტეს შემთხვევაში ხალხისთვის სრულიათ უცხო ენაზე, მაგრამ თუ გვინდა, რომ ესევე შკოლა ყოვლის სისრულით ასრულებდეს თავის დანიშნულებას ემსახუროს ხალხს და მისი ცხოვრების მოთხოვნილებას, — აუცილებლათ საჭიროა, რომ შკოლა იმავე დროს ამ ხალხის სამეურნეო და ტეხნიკურს ცხოვრებას დაეხმაროს, საჭიროა, რომ ამ მხრივაც, მან ბეჯითათ ავარჯიშოს მოსწავლეთა ნიჭი. სასოფლო შკოლა ასწავლის წერა-კითხვას, — ძალიან კარგი და პატიოსანი, მაგრამ დაარწმუნეთ ხალხი, რომ იმავე შკოლას შეუძლია ნივთიერათ გაამდიდროს მისი სახლი, რომ იგივე შკოლა მოუმზადებს მას გონიერს და დახელოვნებულს მუშას და მაშინ — ჩვენშიაც სამუდამოთ უზრუნველ-ყოფილ იქნება საშკოლო საქმე: შკოლა გახდება უპირველეს უსაჭიროეს დაწესებულებათ ყველა დიდ და პატარა სოფლისათვის...

საუკუნე, რომელშიაც ვცხოვრებთ ჩვენ, არის საუკუნე სხვა-და-სხვა მოხერხებათა და ხელოვნებათა. უწინ ადამიანი იყო სრული მონა მუშაობისა და ბუნების ძალებისა, ე. ი. ყოველს საქმეს ის აკეთებდა თავისი საკუთარი ხელ-ფეხით და ზურგით. ასეა ჩვენში ახლაც და ერთს ნატამალზედაც არ შეცვლილა ეს უწინდელი დრო ქართველებისათვის... ხოლო ასე არ არის დასავლეთ-ევროპაში: იქ ადამიანი აღარ არის მონა მუშაობისა და ბუნების ძალებისა; პირიქით, იქ ადამიანი დიდი ხანია სრული ბატონი და ხელმძღვანელია მუშაობისა და ბუნების ძალებისა. წარმოიდგინეთ აგერ რკინის გზა, რომელზედაც მოჰქრიან ასი სახლის ოდენი სადგომები (вагоны), გაჭედილნი ხალხით და სხვა-და-სხვა საქონლითა! აქ ევროპიელი, მართლაც, რომ სრული ბატონია საქმისა: ის მხოლოთ ხელმძღვანელობს მანქანის სხვა-და-სხვა გვარათ შეერთებული ნაწილებით, რომელნიც მისი სურვილით საჭირო დროს ათამაშდებიან და მერცხლის სისწრაფით მიჰქრიან და საჭირო დროს მისივე სურვილით გაჩერდებიან...

ამგვარივე ბატონი და არა მონაა ევროპიელი თითქმის ყოველი საქმისა — ხვნისა, თესვისა, მკისა, თიბვისა, ლეწვისა, დაფქვისა და სხვათა. რისგან წარმოდგა, რომ ევროპიელი ბატონია ყოველი მცირე და დიდი საქმისა და ჩვენ კი სრული მონები ვართ ამავე საქმისა? ამისი პასუხი ერთია: ევროპაში ისე გავრცელდა სახელოსნოთა და მეურნეობათა სწავლანი, რომ სასწაულებსა ჰქმნის და ჩვენში კი ამ სწავლათა ანბანიც არავინ იცის ჯერეთ, და ვინც ანბანი არ იცის, მოგეხსენებათ, უბრალო წერილის დაწერაც არ შეუძლია!... ევროპაში დღე ისე არ გაივლის, რომ ახალი მანქანა არ გამოიგონონ, რომელიც ერთი ათათ უმსუბუქებს ადამიანს მუშაობას და ჩვენში კი რას ვხედავთ? — იმას, რომ რითაც ამ ათასი წლის წინათ საქმე შეგვიმსუბუქებია, ისევ იმით ვიმსუბუქებთ და ახლის გამოგონებას ხომ ვილა გვაღირსებს! ახლა, რისგან წარმოდგება ეს მოვლენა? რასაკვირველია, იმისგან, რომ ჩვენ, როგორც მოგეხსენებათ, არ ვიცით სულ უბრალო ანბანიც სახელოსნოთა და სამეურნეო სწავლათა და ვინც ანბანი არ იცის, განა შეუძლია იმას თუნდა უბრალო წერილის შეთხზვა? — რასაკვირველია, არა! მაგრამ, მიეცით ჩვენს ხალხსაც ტეხნიკო-აგრონომიული ცოდნა და მაშინ ნახავთ, თუ ამ ხალხმაც არ იწყოს სხვა-და-სხვა საჭირო იარაღების და მანქანების გამოგონება თავისი საქმის და ადგილის თვისებებზე გამოწყობილები, რომ ამით შეიმსუბუქოს ამდენი ჯაფა-წვალება!...

ამ ტეხნიკო-აგრონომიული ცოდნის ნაკლებულებას და საჭიროებას გრძნობს დღეს ჩვენში ყველა: თავად-აზნაურიც და გლეხიც, ბერიც და ერიც. ყოველი ამათგანი ნათლათ ჰხედავს, რომ ჩვენი ხელფეხის მოხერხება მუშაობაში ძალიან უკან არის ჩამორჩენილი სხვა ხალხებთან შედარებით. ჩვენი ქვეყნის მეურნეობის ყოველი დარგის დაცემის მიზეზს ვაწერთ, ვინ იცის, რას არა და იმას კი ვერ ვხედავთ, რომ ეგრეთ წოდებული კ ო ნ კ უ რ ე ნ ც ი ა უფრო არის აქ დამნაშავე, რომ ევროპის აღმატებით განვითარებულმა ხელოვნებამ სრულიათ ძირს დასცა ჩვენი ქვეყნის ყოველგვარი დარგი მეურნეობა-მრეწველობისა და მასთან ერთათ დაგვცა თვით ჩვენც! ახლა, რითი შეიძლება ჩვენი ქვეყნის ამ დაცემული მეურნეობა-ხელოვნებათა და თვით ჩვენი თავის აღორძინება? რასაკვირველია, იმითივე, რითაც აღორძინებულნი არიან ევროპიელნი და ამერიკელნი, ე. ი. ტეხნიკო-აგრონომიული ცოდნის მოფენითა ჩვენს ხალხში.

ახლა რა გზით და რა საშუალებით მოვახერხოთ ყოველი ეს? ამისი პასუხი ერთია: ქვეყანაზე

არსებობს მხოლოთ ერთათ-ერთი უტყუარი საშუალება ადამიანის და თვითონ მთელი ხალხის შველისა და ფეხზე წამოყენებისა. ეს საშუალება გახლავთ თვით-შველა, ე. ი. საკუთარივე მეცადინეობით, შეძლებით და თავის გაწირვით თავისი თავის გამოხსნა და განდიდება! ამაზე უტყუარი და უდიდესი საშუალება არც ყოფილა და არც იქნება და, ამიტომ, თვით ჩვენ უნდა დავიწყოთ ეს საქმე, რომ ნელ ნელა, წლითი-წლამდე მოუმზადოთ ჩვენ შვილებს ის, რის უქონლობაც დღეს ჩვენ ასე საქმეს და ცხოვრებას გვიჭირვებს!.. ერთი სიტყვით, დღეს ჩვენ გვეჭირვება იმ ძალის მოკრეფა, რომელზედაც ყურადღება გასაჭირში ხშირათ მიუქცევია მეფე ერეკლეს თავისი ხალხისათვის და რომლითაც მას არა ერთხელ დაუძლევია ათჯერ და ოცჯერ უფრო ძლიერი მტერი; გვეჭირება გახსენება მისი შემდეგი სიტყვებისა: „საქართველოსა დღეს გადუწყდება თავისი ბედი და უბედობა!.. დღეს ეჭირვება მამულს მხნეობა... დღეს გამოჩნდება ვინ არს ერთგული... ვის უფრო გიყვარსთ, ძმანო მამული!..“

ამ მიზანს უნდა ვემსახუროთ დღეს ყველა: მთავრობაც, ადმინისტრატიაც, სამასწავლებლო უწყებაც, კერძო პირნიც და საზოგადო დაწესებულებანიც... მაგრამ უპირატეს ყოვლისა, საჭიროა შევიგნოთ, რომ ისე ნაყოფიერათ არავის და არაფერს არ შეუძლია სამსახური ამ საქმეზე, როგორც სასოფლო შკოლას, და, ამიტომ, მას და მის გაუმჯობესობას უნდა მიექცეს ჩვენი უმთავრესი ყურადღება, რადგანაც შკოლას შეუძლია სრული ჰყოს თავისი მოწაფენი და თანასწორ განავითაროს იგინი, როგორც წერა კითხვა-ანგარიშში, ისე ტეხნიკო-აგრონომიულს ცოდნაში!.. რაში უნდა მდგომარეობდეს ეს უკანასკნელი, ამაზე შემდეგ მოვილაპარაკოთ...

ი. როსტომაშვილი

## ქართლ-კახეთის შეერთების ისტორიიდან

შემდეგი *)

ეს ზემოთ აწერილი უბედურება მოხდა 1741 წ. ამავე დროს სპარსეთის შაჰმ გამოგზავნა ქართლში მუმეიზი, ანუ ქვეყნის ამწერი, რომელსაც უნდა ქართლის სამეფო აეწერა და ხარკიც დაედვა მამულზე. „ესრეთ იყო აღწერა—ამბობს პაპუნა ორბელიანი. „რაც ძველი ნასოფლარი სადმე იყო, ყველგან აზომეს მიწები საბლით და ხარკი დაადვეს. აგრეთვე ხარკი დაადვეს დიდ შენობებზედაცო. თითო ვაზზე დანიშნეს ერთი ბისტი, სოფლებში რაც ხე ნახეს, თითო შაური დაადვეს, კაცზე ორი მინალთუნი, ასაკოვანს ყმაწვილზე ხუთი აბაზი“. ეს საშინელი ხარჯი შაჰის ბძანებით ქართლელებს უნდა ეძლიათ ათი წლის განმავლობაში. პირუტყვზე, ბოსტანზე, წისქვილზე, ყველა შენობაზე განაწესეს მისაცემი ფული. ერთი სიტყვით ჩვის თანამედროვე მწერალი: „ასეთი ნახარჯი დაადვეს, რომ ყოველის კაცისაგან დიდათ შეუძლებელი იყო“. ამასთან ე სამართლიანათ შენიშნავს პაპუნა—„ესეც ცოდვათა ჩვენთა დავაბრალოთო“. მართლაც დიდ და არა-შესაწყნარებელ ცოდვათ სამშობლოს წინაშე უნდა ჩაითვალოს საქციელი ჩვენთა წინაპართა. რითი ასახელებს, მაგალითათ, თავისთავს შანშე ერისთავი, ეს თავის დროზე დიაღ ძალოვანი ქართლის თავადიშვილი? რითი იჩენს თავს მოუსვენარი და ენერგიით სავსე გივი ამილახვარი და ბევრი სხვა?—წვრილმანი ინტერესების დაცვით, ერთმანერთის ღალატით და ინტრიგებით და ესეც სწორეთ იმ დროს, როცა ქართლი ილუპებოდა და მტრის ხელში ვარდებოდა, მათ მოიხვეჭეს ჩვენს ისტორიაში უკვდავი სახელი ჰეროსტრატისა!..

როგორც წინათ ვთქვი, სპარსელებმა ქართლს დაადვეს საშინელი ხარკი. ამ გარემოების გამო მრავალი სული აიყარა თავის სამშობლო ქვეყნიდან და სხვა მხარეს გადასახლდა, ბევრი დაბა-სოფლები სრულიათ აოხრდა. მრავალი კაცი—ჰწერს ორბელიანი—ვენახსა და ბაღებს, თავისი ხელით კაფიდის და აოხრებდის“. ვინც დარჩა ქართლში, იმას ის-ღა იმედი ჰქონდაო, რომ ამ გვარი, სულის შემხუთველი, წეს-წყობილება ბევრს ხანს ვერ გაატანსო. მაგრამ ამათი იმედი სულ ამაოთ შეიქნა. იმავე 1741 წლის დასასრულს სპარსეთის შაჰმ გამოსცა ქართლში შემდეგი ბრძანება: „რაც ქართლის ქვეყანას ჩემი ხარჯი აქვსო, იქიდან ლიტრა პური ერთ ბისტათ მომეცითო *). ამ დროს ქართლში პური ძალიან ძვირი იყო, რადგან მოსავალი ცუდი მოვიდა. იქამდის მივიდა საქმე, რომ ბევრს პური არც კი ჰქონდა საჭმელათ. ხალხი თურმე ბალახის კურკას ახმო-

*) იხ. ილე კვალი № 5

*) ქარ. ცხ. 347.

ბდა ხოლმე, ფქვავდა და იმას ჭამდა. დადგა საშინელი შიმშილი. გავრცელდა მრავალგვარი ავათმყოფობა: ბევრი ქართველები, რომელნიც უკანასკნელ ღონისძიებამდე თავის მამულს იცავდენ, ოსმალეთში გადასახლდენ: ბევრი მთებში შეიხიზნა.. ამგვარათ მიმდინარეობდა ბედკრული ქართლის საქმე 1744 წლამდე.

ამ დროს, კახეთში მეფეთ იყო თეიმურაზ მეორე, ძმა იმ კოსტანტინე მეფისა, რომელიც ოსმალებმა ღალატით მოჰკლეს და მისი თავი „ბზით“ გატენილი, გაუგზავნეს ხონთქარს **). გამეფდა თუ არა 1733 წელს კახეთში თეიმურაზი, იგი გახდა მოსისხლე მტერი ოსმალეთისა. ამ მეფეს უფრო სპარსელების მხარე ეჭირა. თეიმურაზს მეუღლეთ ჰყავდა ვახტანგ კანონმდებლის პირმშო ასული თამარი. ნამდვილათ არ ვიცით, რა მოსაზრებით მოხდა ეს ქორწინება. შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ ამ ნათესაური კავშირით თეიმურაზს ჰსურდა დაახლოვებულიყო ჭკუით და ნიჭით დიდებული მეფის ნათესაობასთან, როგორიც იყო ვახტანგ VI. როგორც ვიცით, ამ ბედკრულის მეფის სიკვდილს შემდეგ ქართლი სრულიათ უპატრონოთ დარჩა. იგი გაოხრდა, გალატაკდა. აი, სწორეთ ამ დროს თეიმურაზმა განიზრახა დიდებული აზრი, რომელიც შემდეგში განახორციელა მისმა შვილმა, ერეკლემ. წადილი თეიმურაზისა იმაში მდგომარეობდა, რომ შეერთებინა ერთ სამეფოთ, ერთ სკიპტრას ქვეშ ქართლ-კახეთი. ამ უკანასკნელის აზრის განხორციელებას შეუდგა მხნე და პოლიტიკური ჭკუით აღჭურვილი თეიმურაზი. მას ძალიან ეხმარებოდა მისი ნიჭიერი შვილი, ჯერ ისევ ახალგაზრდა ბატონიშვილი, პატარა კახი. სამწუხაროთ, ბევრს ჩვენს მამულიშვილებს არ ესმოდათ კარგათ, თუ რა ნაყოფს მოუტანდა საქართველოს ეს შეერთების აზრი. სხვა თვალით უყურებდენ მრავალი ჩვენი წინაპარი თეიმურაზის პოლიტიკურს წადილს. ამ წადილს არ თანაუგრძნობდენ, რადგან იმ დროს იმდენათ არ იყვენ პოლიტიკურათ განვითარებულნი, რომ შეეგნოთ ძმობის და ერთობის მნიშვნელობა. წვრილმანი ინტერესების დაცვა ჩვენ წინაპართ წმინდა მოვალეობათ მიაჩნდათ. ეს უკანასკნელნი ხშირათ წინააღმდეგნი იყვენ ხოლმე იმ საზოგადოებრივი აზრისა და კეთილი წადილისა, რომლის განხორციელება ბედნიერების მეტს არას მოუტანდა საქართველოს. მალე გამოჩნდენ ქართლ-კახეთის შეერთების მოწინააღმდეგენი და შინაურმა მტრებმა კიდეც დაიწყეს ბრძოლა შეერთების წინააღმდეგ...

(შემდეგი იქნება)

ა. გარსევანიშვილი

**) Ист. георг. ст. 31.

# ჩვენი სახიობა

პარასკევს 27 იანვარს იყო ბენეფისი ჩვენი ფრიად ნიჭიერის მსახიობის მ. საფაროვისა. საზოგადოება ალტაცებით მიეგება თავის დამსახურებულს ქართველს მსახიობ ქალს. საჩუქრებიც მრავლათ მიართვეს. საბენეფისოთ ითამაშეს „უნდა გავიყარნეთ“, გადმოკეთებული კომედია სამს მოქმედებათ ვ. აბაშიძის მიერ და „ცელქები“ ვოდევილი, ფარსი — თარგმანი ეფ. ნიკოლაძისა. ორივე ეს მხიარული პიესა შინაარსით და ტემით ერთობ დაძველებულია; ნამეტურ „ცელქები“ ოცდახუთის წლის წინათ დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა, როცა მას ორი ნიჭიერი ჩვენი მსახიობები ვ. აბაშიძე და მ. საფაროვისა ითამაშებდენ ხოლმე. იმათს ცქრიალა ახალგაზდობას უხდებოდა ეს ხუმრობა სცენაზე; მაგრამ დღეს ეს ორი ჩვენი წლოვანებით დადინჯებული მსახიობები რომ დავინახეთ ისევ ცელქების“ როლებში, გულმა რაღაც მწუხარების ღელვა გამოიწვია წარსულის უფრო უმანკო გრძნობების მოგონებით, რომელნიც მაშინ სიახალგაზდით დუღდენ და დღეს კი მიმქრალიყვენ. ჩვენ დამსახურებულს მსახიობებთან მეც გულში ვიძახოდი:

„ვაი, დრონი, დრონი, ჩაქვნნი მარად
წარვიდენ, განქრენ სიზმრებრივ ჩქარად
და დღეს ჩვენ აქ ვჭვრეტთ
უგრძნობლათ, მჭკნარათ“.

მართლაც რომ ჩვენი შეხედვით ამ ზემოხსენებულს ფარს „ცელქები“ დაეკარგა თავისი მნიშვნელობა. ამ ნაირი პიესები ამხანაგობამ, სჯობია, ჩვენი პროვინციის სცენისთვის შეინახოს, ჩვენ კი უფრო ამ დროის შესაფერი რამე მოგვცენ.

ჩვენის სათეატრო ამხანაგობის მოქმედებიდან მოველით უფრო სხვას, უფრო გონივრულს პროგრამას, რომელმაც უნდა აამაღლოს ჩვენი სამშობლო სცენა. გვეყო ამდენი გადმოკეთებული და უც-

ხო ხალხების ცხოვრებიდან აღებული დრამა-კომედიების ცქერა. ჩვენი საზოგადოება იმათგან ვერაფერს დიდს მაგალითებს და შთაბეჭდილებას ვეღარ გამოიტანს, რადგან უცხო ცხოვრება ერთობ დაშორებულია ჩვენს შინაგანს ყოფა-მდგომარეობაზე და ხალხი ამ წარმოდგენებს უფრო ისე უყურებს, როგორც უბრალო გასართობს და დროს გასატარებელს რამე თამაშობას. ქართულ სცენას ამ შემთხვევაში ეკარგება თავისი უმაღლესი მნიშვნელობა; ის აღარ ჰგავს ერის ზნე-ჩვეულების საწვრთნელ შკოლას. როცა ქართული სათეატრო ამხანაგობა შედგა, რომელთ შორის ურევიან ხელოვნების მოტრფიალე, შეგნებული და გონება-განვითარებული წევრებიც, ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ასეთი ამხანაგობა სხვა მიმართულებას მისცემს ჩვენს სცენას და დააყენებს მას ნაციონალურს ნიადაგზე. ჯერ-ჯერობით ჩვენ ამას ვერ ვხედავთ. დროა ქართულმა სათეატრო ამხანაგობამ შეკრიბოს ყველა ქართული პიესები, რომელნიც წარმოადგენენ ჩვენი ხალხის სურათებს, იმის ცხოვრების ნაკლულევანებას და ყოფა მდგომარეობას. ჩვენ ვიცით, რომ რაც ქართულ ენაზე დასტამბული და დაუსტამბავი ორიგინალური პიესებია, ყველა რომ ამხანაგობამ შეკრიბოს, ას-ორმოც პიესამდე მაინც გამოვა. მათგანი რომელნიც ჯერ კიდევ არ არიან დასტამბულნი, დასტამბონ და ამ რიგათ შეუდგებათ საკმაოთ მდიდარი ნაციონალური რეპერტუარი. იცოდეს ამხანაგობამ, რომ თავისი ნაციონალური ცუდიც რომ იყოს, სხვის კარგზე უკეთესი იქნება.

„თქვენი თათბირი ცუდიცა სხვისა კარგისა მჯობია“-ო — ამბობს რუსთველი. აი, ამ მხრით მოველით ჩვენ ახალი ამხანაგობისაგან ქართული სცენის გაუმჯობესებას და გამდიდრებას.

მაზაკვალი

## საქველმოქმედო საქმეები

კავკასიის ქართული შკოლისთვის „კვალის“ დასაკვეთათ შემდეგმა პირებმა შემოწირეს ფული: დ. ბოცვაძემ—1 მ. მ. საგინაშვილმა—50 კ., ივ. ჩითაშვილმა—1 მ., ივ. მესხიშვილმა—2 მ., გ. რონაშვილმა—1 მ., კ. ჭელიძემ—1 მ., მ. ლომიძემ—50 კ. და ბ. ე--ვმა—1 მ.

*
* *

ქუთაისში ახლათ გახსნილ წერა-კითხვის საზოგადოების სამკითხველოს სასარგებლოთ მივიღეთ შემდეგი შემოწირულებას: რომლისთვისაც დიდ მადლობას ვუძღვნით შემდეგ პირებს:

კნ. ოლ. ჭავჭავაძისაგან — თ. ილ. ჭავჭავაძის თხზულება ოთხი ტომი. მამა დავით ღამბაშიძისაგან 64 წიგნი თავის გამოცემები. ზ. ჭიჭინაძისაგან 61 წიგნაკები თავის გამოცემული, ღირებული 9 მან. კოს. თავართქილაძისაგან 16 წიგნაკი თავისი გამოცემული ღირებული 3 მან. თ. ივ. მაჩაბლისაგან თავისი ნათარგმნები—ჰამლეტი, მაკბეტი, რიჩარდი (მესამე), ოტელო. პავლე ასათიანმა გაუკეთა სამკითხველოს გაზეთების ჩასაწყობი ყუთი და მისიელ ტარიელაშვილმა ტანისამოსების ორი ჩამოსაკიდებელი.

სამკითხველოს გამგე ან. წერეთლისა

*
* *

ერასტო კალანდარაშვილისაგან მივიღეთ ცამეტი მანეთი ნიგოითში გამართულ წარმოდგენიდან ერთის მოსწავლისათვის გასაგზავნათ საზღვარ-გარეთ.

* *
*

ყვირილიდან დიმ. ხუნდაძისაგან „კვალის“ რედაქციამ მიიღო აკაკის სახელზე შემოწირული ფული 20 მ. და გადასცა დანიშნულებისამებრ. შემომწირველთა სია: დიმ. ოქრ. ხუნდაძემ—3 მ. სერ. ალ. ხუნდაძემ—1 მ. ბეს. ვაშაძემ—3 მ. თავ. მიხეილ აბაშიძე—3 მ., თავ. კოლა აბაშიძემ—1 მ., თავ. ვიქტორ აბაშიძემ—1 მ. სერ. ჯინჭველეიშვილმა—1 სევ. ალავიძემ—1 მ. ერ. ებრალიძემ 1 მ., პავ. ჭეიშვილმა—1 მ. პლ. სალაძემ—1 მ. ტარასი კაპანაძემ—1 მ., გლ. აბულაძემ—1 მ. და ალექ. ლორთქიფანიძემ—1 მ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.


# განცხადებანი

ქართული თეატრი

—

კვირას, 29 იანვარს 1895 წ.

„ქართული წარმოდგენების მმართველი ამხანაგობის“ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ახალის მოწყობილობით და ტანისამოსებით

# ნამუსი

ისტ. დრ. 5 მოქ. დ. ე. ერისთავისა

პიესაში მონაწილეობას მიიღებს 80 კაცი მოთამაშე, სამხედრო მუსიკა და ქართული ხორო.

მონაწილეობას ღებულობენ: ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, მაქსიმიძისა და სხ. ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, მარჯანოვი, ადამიძე, გუნია და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

შეგირდებისათვის ადგილები ლოჟებს უკან 65 კ.

დასაწყისი სწორეთ 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენათ: „მამულ-დედული" ზუდერმანისა, „დენიზა" დიუმასი და სხ.

რეჟისორი ვლ. ალ.-მესხიშვილი

ადმინისტრატორი ვალ. გუნია

1895

„მოამბე"

თვიური ჟურნალი

(წელიწადი მეორე)

გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში იმავე პროგრამით

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში. | 10 მან. | 6 მან. | 4 მან. |
| საზღვარ გარეთ . . | 13 მან. | 7 მან. | 5 მან. |

ვისაც წლიური ფასის ერთათ შემოტანა ეძნელებათ, შეუძლიათ შემოიტანონ: 1 იანვრამდე 4 მან., 1 აპრილამდე — 3 მან. და 1 სეკტემბრამდე — 3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბის" რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „МОАМБЕ".

ვინც წლიურ ფასს წინ-და-წინ შემოიტანს, მიიღებს კედლის ქართულს კალენდარს 1895 წ—სას.

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

# „კვალი"

გამოვა 1895 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდის

რედაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს გააუმჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა, ამ განზრახვით მან დაიბარა პეტერბურგიდან მრავალი საუკეთესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა.

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად **7** მანეთი, ხოლო გაგზავნით **8** მანეთ. ნახევარის წლის გაუგზავნელად **3** მან. **50** კაპ., გაგზავნით **4** მანეთ. სამი თვისა გაუგზავნელად **2** მანეთ, გაგზავნით **3** მანეთი. თითო ნომერი აბაზათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ.

## ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლაში: „ქართულ სახალხო სამკითხველოში", „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში" და თვით „კვალის" და „ჯეჯილის" რედაქციაში. (Артиллер. ул. д. Тамамшева, возлѣ кадетскаго корпуса).

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთა შეუძლიათ მიმართონ: ქუთაისში: თ. კირ. ბეჟან. ლორთქიფანიძეს და ვ. ბეჟანეიშვილისა და ძმათ წერეთლების წიგნის მაღაზიებში:—ბათუმში: მათე ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთის სააგენტოში და პავილიონში გერ. კალანდაძესთან. —თიონეთში: ივ. თ. ჩიბალაშვილს.—გორში: ზაქარია დავიდოვთან და ეკ. ფურცელაძესთან—ჭიათურაში: თედორე კიკვაძესთან უგორილაში: თ. ხუსკივაძესთან, —ახალსენაკში და ოზურგეთში: კ. თავართქილაძესთან.—ჩოხატაურში: მიხ. ჯიბლაძის წიგნის მაღაზიაში. —სახხერეში: ყარამან ჩხეიძესთან.—თელავში: მ. ცისკარაშვილთან.

ვინც „ჯეჯილს" და „კვალს" ერთათ დაიბარებს, მათთვის წლიურათ ეღირება გაუგზავნელათ **10** მან., ხოლო გაგზავნით **12** მან. კერძო განცხადება დაისტამბება სხვა-და-სხვა ენაზე.

**Дов. ценз. Тифлисъ, 29-го Января 1895 г.** |§| სტამბა მ. დ. როტინიანცისა © ***Тип. М. Д. Ротиніанца, Гол. пр., д. №*** 41